სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

„მომავლის მეცნიერები“

23 მაისი, 2025 წელი

საქართველო, ქუთაისი, 4600

WWW.IAA.ORG.GE

ქ. ქუთაისი, ი.შერვაშიძის ქუჩა №53, ტელ: 0431 27 77 66, ელ. ფოსტა: marieta.tabagari@atsu.edu.ge; roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური
სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია
„მომავლის მეცნიერები“

საინფორმაციო წერილი

პატივცემულო სტუდენტებო!
გვაქვს პატივი, მოგიწვიოთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტისა და "იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის" მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მეცნიერ-ხელმძღვანელის, **პროფესორ როზა ლორთქიფანიძის 70 წლის** იუბილესადმი მიძღვნილ სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე - **„მომავლის მეცნიერები“** მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ჩატარდება **2025 წლის 23 მაისს ქ. ქუთაისში.**

საკონფერენციო მოხსენებები დაიბეჭდება სრულად.

კონფერენციის სამეცნიერო მიმართულებები:

1. **სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია;**
2. **ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა** (ინჟინერია და საინჟინრო საქმე, არქიტექტურა და მშენებლობა);
3. **მომსახურებები** (სასტუმრო, რესტორანი და კვება; მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება; ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი) ტრანსპორტის მომსახურებები;
4. **ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი;**
5. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა** (ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები; გარემო; ფიზიკური მეცნიერებები);
6. **ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები;**
7. **ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა** (მედიცინა, ფარმაცია, ტრადიციული და ალტერნატიული მედიცინა და თერაპია);
8. **განათლება** (განათლების მეცნიერებები);
9. **ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები** (მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი; გამოყენებითი ხელოვნება /(ხელნაკეთობა); რელიგია და **თეოლოგია**; ისტორია და არქეოლოგია; ფილოსოფია და ეთიკა)

10. **სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია** (ეკონომიკა; პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობის საფუძვლები,ფსიქოლოგია)

- კონფერენცია ითვალისწინებს **პლენარულ** და **სექციურ** მუშაობას;
- კონფერენციის სამუშაო ენა: **ქართული;**
- კონფერენციის რეგლამენტი: **მოხსენება - 5-7 წუთი ;**
  მსჯელობა- 5 წუთი ;

- კონფერენციაზე შესაძლებელია **დასწრებული** და **დაუსწრებელი** მონაწილეობა;

- გთხოვთ, **საკონფერენციო განაცხადი** (თანდართული ფორმით) გადმოაგზავნოთ **2025 წლის 15 აპრილამდე** ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე:

agrarian@atsu.edu.ge

- **30 აპრილამდე** გადმოაგზავნეთ საკონფერენციო მოხსენება სრულად, მოთხოვნების შესაბამისად და კრებულის შეძენის შემთხვევაში ატვირთეთ ელ. გადახდის ქვითარი.
- დასაშვებია **ერთი თანაავტორი** (თანამომხსენებელი).
- კონფერენციაზე **პრეზენტაციით** გამოსვლის შემთხვევაში აგზავნით პრეზენტაციას კონფერენციამდე **სამი დღით** ადრე ზემოთ მითითებულ მეილზე;
- კონფერენციის დასწრებული ან/და დაუსწრებელი მონაწილე კრებულის შეძენის სურვილის შემთხვევაში იხდის მის საფასურს **(20 ლარი)** ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე;
- შრომათა კრებული **ელექტრონული** სახით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე: ***iaa.org.ge***

თანხის გადახდა მოხდება **“TBC”** ანგარიშზე - **GE63TB7524336080100002**
მიმღების დასახელება: ”იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაცია"

დანიშნულება: “სტუდენტური კონფერენცია 2025“

- მგზავრობა – კონფერენციის მონაწილეთა ხარჯით.
- კონფერენციის ჩატარების ადგილი - **ქ. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალი ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი, თამარ მეფის ქუჩა N 59.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

4600, ქუთაისი, შერვაშიძის 53.

კოორდინატორი: **ნატალია სანთელაძე**

ტელ.: 574 84 82 82

E-mail: natalia.santeladze@atsu.edu.ge

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე: **რუსუდან ცქიფურიშვილი**

ტელ.: 598 54 11 75

E-mail: tskiphurishvili.rusudan@atsu.edu.ge

მოთხოვნები ნაშრომის კრებულში გაფორმებისთვის:

- სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 3 გვერდზე ნაკლები და 5 გვერდზე მეტი **(A4 ფორმატის ქაღალდის 1,15 ინტერვალით ნაბეჭდი, მინდვრები ზევით 3 სმ, ქვევით – 2,5 სმ, მარცხნივ – 2,5 სმ, მარჯვნივ - 2 სმ, აბზაცი – 1 სმ, გადატანებისა და გვერდების ნუმერაციის გარეშე)** ნახაზების, გრაფიკების, ცხრილების, რეზიუმეების და ლიტერატურის ჩამონათვალის ჩათვლით;
- სტატია შესრულებული უნდა იყოს ტექსტურ რედაქტორ **Word-ში;**
- ქართული ტექსტისათვის გამოყენებული უნდა იქნეს შრიფტი – **Sylfaen, 11 pt**;
- ინგლისური ტექსტისათვის შრიფტი – **Times New Roman, 11 pt;**
- სტატიის სათაური **14 pt; Bold;**
- მარცხნივ სტრიქონის გამოტოვებით – ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი **12 pt; Bold;**
- მარცხნივ ქვედა სტრიქონზე - სამეცნიერო ხარისხი, წოდება, სასწავლებელი, ქალაქი, ქვეყანა; 12 pt;
- ორი სტრიქონის გამოტოვებით - **სტატიის აბსტრაქტი 10 pt; ინტერვალით 1,0 და დახრილი შრიფტით ნაბეჭდი** (სავალდებულოა მიუთითოთ **4 საკვანძო სიტყვა ქართულ ენაზე);**
- სტრიქონის გამოტოვებით – **სტატიის შინაარსი;**
- ორი სტრიქონის გამოტოვებით – **გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი;** (ავტორ(ებ)ის გვარი ინიციალებით - ნაშრომის სათაური - “გამომცემლობა”; ქალაქი; წელი;
- **ინგლისურ ენაზე -** (სტატიის სათაური 14 pt; Bold ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი 12 pt; Bold; სამეცნიერო ხარისხი, წოდება, სამუშაო ადგილი, ქალაქი, ქვეყანა; 12 pt; ტექსტის შრიფტი 11 pt;);
- სტრიქონის გამოტოვებით – **აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე** (სავალდებულოა მიუთითოთ **4 საკვანძო სიტყვა ინგლისურ ენაზე);**
- სტატიაში ნახაზები და საილუსტრაციო მასალები ჩასმული უნდა იყოს **JPEG ან BMP ფორმატით;**
- მათემატიკური ფორმულები აკრებილი უნდა იყოს რედაქტორ **Equation-ის** გამოყენებით;
- ავტორ(ებ)ი პასუხს აგებს სტატიის შინაარსსა და ხარისხზე.
- ერთი ავტორის მიერ წარმოდგენილი სტატიების რაოდენობა არა უმეტეს **ორისა;**
- რეცენზირება მოხდება რედკოლეგიის მიერ და გამოქვეყნდება მათივე გადაწყვეტილებით.

  გამოსაქვეყნებელი სტატია რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული (ნებისმიერ მატარებელზე) სახით.

კრებულის ბეჭდვა ხორციელდება **ავტორთა ხარჯით.**

ნაშრომთა კრებულის შეძენის შემთხვევაში მისი ღირებულება შეადგენს **20 ლარს.**

ქ. ქუთაისი, ი.შერვაშიძის ქუჩა№53, ტელ.: 0431 27 77 66, ელ. ფოსტა:
marieta.tabagari@atsu.edu.ge; roza.lortkipanidze@atsu.edu.ge

გაითვალისწინეთ:

- საკონფერენციო ნაშრომის კრებულში დასაბეჭდად გამოგზავნილი ყველა ნაშრომი გაივლის შემოწმებას **პლაგიატის** აღმომჩენ პროგრამაზე. ნაშრომი ფასდება დადებითად თუ: მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება **10%-ს.**
- საკონფერენციო ნაშრომი კრებულში დასაბეჭდად გაივლის **ფარულ რეცენზიას** დარგის ექსპერტებთან. დადებითი რეცენზიის მიღების შემთხვევაში სტატია დაიბეჭდება.

პატივისცემით,
კონფერენციის სარედაქციო კოლეგია

ქ. ქუთაისი, ი.შერვაშიძის ქუჩა№53, ტელ.: 0431 27 77 66, ელ. ფოსტა:
marieta.tabagari@atsu.edu.ge; roza.lortkipanidze@atsu.edu.ge